სახალხო გაზეთი

№ 599 ოთხშაბათი, 16 მაისი, 1912 წ. № 599

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ სალამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მისნიცკის ქ., ს. სტოვოისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოს 6-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაბეჭდვის შკირე წერილები და კორესპონდენციები სულ ერთ ეხებიან ერთ ... თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოგონებანი. — ... პარაკვლ. შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართველ ... „გაზეთი" 190.

ტელეფონი №12-29.

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

27 მაისს, „ახალ კლუბის" ბაღში გაიმართება

სეირნობა ბაზრით

საზოგადოების გამგეობა უმორჩილესად სთხოვს ქართველ საზოგადოებას **დახმარებას.** ყოველივე წვლილი დიდის მადლობით იქნება მიღებული. შემოწირულება მიიღება „საზოგადოების" კანცელარიაში ყოველ დღე დილის 9—3 საათამდე, საღამოს 6—9 საათამდე. (0.1254.5)

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

წლიური ხელის მომწერნი იღებენ პრემიად I წ. „ბრდემს".

წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.
თვეში ღირს — 75 კაპ.

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლიურ ხელის მომწერთ 8 მ. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მან., მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და დანარჩენი უნდა გადახდილი იყოს **1-ლ ივლისამდე.**

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

ჯურაბლეულისა და ავეჯეულობის მაღაზია ფ. ს. ფილიპოვისა,

ქუთაისში ... ყოველთვისა გვაქვს დიდ-ძალი რჩეული: ფაიფურისა და ჭაშანგურის ჭურჭელი, ბროლისა და მინის საჭონელი; ვარშავისა და საზღვარ-გარეთის ლამფები, საზღვარ-გარეთული ემალიანი თეთრი კალაპაკები და ხპილენძის ჭურჭლეულობა. სამოვრები, ეროსინკები და ყოველგვარი საოჯახო მოწყობილობა ახალი ვერცხლისა (მელხიორის) და ბრინჯაოსი. ვეზური, მოზრილ ინდოეთის ლეარწმის (ბამბუკის) რბილი ავეჯეულობა. ინგლისისა და ვარშავის კროტები, დოშაკები, კედლისა და საპარფარეშო სარკეები. ქლიორნკა და იატაკზე საფენები. საზღვარ-გარეთისა და რუსეთის გიტარები, ფირფიტები და ყოველნაირი და ყოველ-ხარისხის სიმები, პიანინო სხვა და სხვა ქარხნისა. ელექტრონული ლამფები, არმატურები და მოწყობილობანი, ორთქლით-მრეცხავები (პარაშიკები) ახალის სისტემისა და საელექტრონო ნივთეულობა. დიდ-ძალი რჩეული **შპალიერი** თოფი 8 კ.-დან 1 მ. 50 კ.-დე. ქუთ. გუბ. და ბათომის ოლქის წარმომადგენლობაც: გვაქვს **საწერი მანქანა „ტორპედოსი".** ფასები მეტის-მეტად დაკლებულია. (წ. 1-36.9)

ექიმი კბილისა და ღრძილებისა ჰ. ა. ძაჯაია

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151 (დიდუბე). (თ.—1049—91)

ექიმი ჰ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყოფ. (სპეციალ. ფილტვების სნეულება ტლის ნაკლულება, რევმატიზმი--ქაბები) სიფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. დილის 9--12. საღამოს 5--7. (25.1045.110).

ახალი კლუბი

ოთხშაბათს, 16 მაისს,

ჩვეულებრივად სინემატოგრაფი

ივანიცკაია.

დასასწყ. საღ. 9-ნახ. ს. (1.1241.1)

ქუთაისი

ქუთაისში
რკინეულობის სავაჭრო
სტეფანე პავლეს ძე ფეიქაროვისა

ამით აუწყებს თავის პატივცემულ მყიდველებს, რომ მან ცეცხლის შემდეგ **განაახლა ვაჭრობა** თავის საკუთარ სახლში, ვორონცოვის ქ. მაღაზიაში გაიხსნა ვაჭრობა სხვა და სხვა სისტემის **რევოლვერებისა და სანადირო თოფებისა.**

(ბ.1252.5) პატივისცემით **ს. პ. ფეიქაროვი.**

ქუთაისი

გერმანიაში უმაღლეს სწავლა-დამთავრებული

დიპლომ-აგრონომი

ეძებს შესაფერ ალაგს

მისამართი: „სახალხო გაზეთი". რ. გ. (1.453.1)

ტელეფ. 296 ბაღი ედემი ვერაზე ტელეფ. 296

ყოველ დღე 2—6 და საღ. 10—2 საათამდე უკრავს ქალ-ვაჟთა სიმებიანი ორკესტრი **ბ. კაზიმირის** ხელმძღვანელობით.

ბაღშია მოწყობილი სამზარეულო ქართულ-ევროპიულ საკმელ-სასმელებით. შეიძლება დაკვეთა სადილ-ვახშმებისა. სანოვაგე ყოველდღე ახალ-ახალი.

(5—255—4) **ბაღის პატრონი კ. ბაქრაძე.**

შეიძლება დაკვეთა:

ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

ლექსები და **ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრედვე ჯერ დუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

ფასი 8 მანეთი, რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ეკვნისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დაბეჭდილნი წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორდანოვის ქუჩა, № 20, **ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან;** და **წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

ქუთაისში—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და ბ. ოცხელთან.
ფოთში—ითნა მეუნარგიასთან.
სამტრედიაში—ბ. ი. სტურუასთან.
სიღნაღში—ექ. ჯანდიერთან.
სოხუმში—ნიკო თავდგირიძესთან.
ჭიათურაში—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან.
თელავში—თამარა აბაშიძესთან.
ხონში—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
ბაქოში—ილია აგლაძესთან.
ოზურგეთში—ექ. დიმ. ერისთავთან.
ერევანში--ელენე ვირსალაძესთან.
ბათომში—ს. მდივანთან. კავკაზში—სოფიო კალანდარაშვილთან.

ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზავნის მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია. (3—1153—3)

სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

გენერალ-მაიორი ვასილი დავითის ძე გაბაშვილი მისი **მეუღლე** და **რძალი** უგულითადეს ბადლობას უძღვნიან ნათესავთა და ნაცნობთ, რომელთაც პირადის დასწრებით თუ წერილობით ნუგეში სცეს პირველთა დაუვიწყარ შვილის, ხოლო მესამის საყვარელ მეუღლის **სამთო. ინჟენერ**

დავით ვასილის ძე გაბაშვილის

გარდაცვალების გამო. (1—454—1)

ქუთაისის
საოთავად-აზნაურო
საადგილ-მამულო ბანკის
ზედამხედველი კომიტეტი,

თანახმად ბანკის წესდების მე-89 მუხლისა, საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამ ბანკის რწმუნებულთა

მორიგი კრება

დანიშნულია ქ. ქუთაისს, ბანკის დარბაზში 1912 წ. 20 მაისს, დილის 10 საათზე. მე-89 მუხ. შენიშვნის თანახმად, კრება კანონიერად ჩაითვლება, რამდენი რწმუნებულიც უნდა დაესწროს.

რწმუნებულთა მიერ განსახილველ საქმეთა სია:

1) 1911 წ. ანგარიში, ზედამხედველ კომიტეტისა, ბანკის გამგეობისა და დამფასებელ კომისიის მოხსენებით,
2) 1912 წ. ხარჯთ-აღრიცხვა,
3) მოხსენება გამგეობისა ბანკის ზოგიერთ მუხლთა შეცვლის თაობაზე.
4) მოხსენება გამგეობისა ბანკზე დარჩენილ მამულების თაობაზე.
5) მოხსენება გამგეობისა სასამართლოში წარმოებულ საქმეთა და საიურისკონსულტო ნაწილის რეორგანიზაციისა.
6) მოხსენება გამგეობისა ბანკის საოპერაციო ფარგლის გაფართოებაზე.
7) ანგარიში ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასისა.
8) ბანკში მოსამსახურეთა საპენსიო კასის წესდების შეცვლა.
9) მოხსენება იმის თაობაზე, რომ ბანკში მოსამსახურეთ ეკრძალებათ იკისრონ აგენტობა და სუბ-აგენტობა ცეცხლისაგან დამზღვევ საზოგადოებაში.
10) ის კითხვები, რომელნიც რწმუნებულთა ერთმა ჯგუფმა წარადგინა საგანგებო კრებაზე განსახილველად 1912 წ. იანვარში, რომელთა განხილვა რწმუნებულთა მორიგ კრებისათვის გადაიდო.
11) არჩევა ზედამხედველ კომიტეტის ერთი წევრისა, რიგის მიხედვით გასულ წევრის ნაცვლად; ა. ს. საყვარელიძისა. არჩევა ბანკის წევრთა კანდიდატებისა თ-დ ი. ნ. ნიჟარაძისა და ე. ს. ქუთათელაძის მაგიერ.

(3.—1222.—3).

ტფილისის კერძო სამკურნალო

ძსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, ვეტცელის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო

ტელეფონი № 590.

სტაცი ნალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

შინაგანი	**ამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). 11½—12 საათ.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
	ქიქოძე ტ. ს. (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.
	მაღალაშვილი გ. გ. (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.
	მანსვეტაშვილი ვ. მ. (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ. (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
სადოსტაქრო (ქირურგიული):	**მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტატი (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) 11½—12½.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	ფირადოვი რ. ბ. (ყოველ დღე) 12—1.
საშობიარო-ქალ. სნეულებანი.	ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირადოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.
	მელიქიშვილი ნ. მ. (ყოველ დღე) 10—1.
	სულაკოვი ა. ი. (ყოველ დღე) 12—1.
	თიკანაძე ი. ე. (ყოველ დღე) 1—2.
ბავშვების ავადმყოფ.	**ღამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), 11½—12 ს.
	მიქელაძე შ. ა. (ყოველ დღე) 12½—1.
	ფედოროვი ე. გ (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1.
ნერვ. ფსიქ. სნეულ.	**გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.
	დავითიანი რ. ს. (ყოველ დღე) 1—2.
ყელ. ყურ. ცხვ.	**ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.
	ორემბოვსკი ნ. ს. (ყოველ დღე) 2½—3.
თვალ.	**მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ.) 2--2½.
კანის ფავ.	**მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—1½.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann-რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მან. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კაცეტერიზაცია; **„606" წამლის** შეშხაპუნება. ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა. ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. (წ.—1030—337)

13 მაისს, 1912 წ., დილით 9 საათზე, უეცრად გარდაიცვალა თავის ბინაზე ქალაქ ფოთში

ივანე ივანეს ძე ასათიანი,

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მეუღლე მისი **საშა დიმიტრის ასული შვილებით** და **ძმა მისი ბეგლარი.** პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე, დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, 17 მაისს, ნაშუადღევის 4 საათზე, საკუთარ სახლ., ლევამოვის ქუჩა, ქ. ფოთში. (2.1269.1)

13 მაისს დილით ქ. ფოთში უეცრად გარდაიცვალა

ივან ივანეს ძე ასათიანი

რასაც დიდათ მწუხარენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ სიდედრი პელაგია სვიმონის ასული, ცოლის და—ვარვარა და ცოლის ძმა ვლადიმერ სვანელები, ქვისლი ალექსანდრე ალექსის ძე მეუღლით ქეთევანი დიმიტრის ასული ცაგარლები.

გამოსვენება ცხედრისა მოხდება 17 მაისს ნაშუადღევის 4 საათზე საკუთარ სახლიდან. (1—460—1)

ქუთაისში

ძმ. ე. და პ. სააკაშვილები.

გვაქვს პატივი ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ **1 აპრილიდან ჩვენ გადავიტანეთ** ჩვენი **რკინეულობის სავაჭრო პუშკინის ქუჩაზე, საკუთარ შენობაში.** და შესაძრნევად გვაფიცარ ... ...

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ

ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის“,

25 ცალი 15 კ. ₰ 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები“.

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.

(100.1036.43)

ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

ისყიდება დრამატიული თხზულებანი:

ადამიანის ცხოვრება თარგ. ფ.	50	კ.	
ბედმა მიღალატა. კ. 3 მოქ.	20	„	
ბრძოლა არსებობისათვის. დრ. პოემა, გაბრ.	60	„	
გაყრა, გ. ერისთავისა	5	„	
გამცემი. დრ. 3 მოქ. გედ.	25	„	
გაღატაკ. ოჯახი, დრ. 3 მ.	10	„	
დემონი. ოპერეტ.	50	„	
დარბეულნი. დრ. 4 მოქ.	30	„	
დრამ. თხზ. დ. ერისთავისა	1 მ.—	„	
დაღი. დრ. 3 მოქ.	20	„	
დრამ. ₰ კომ., „სორაკ“ გამ.	1 მ.—	„	
დრამ. თხზ. ცაგარლისა: ერთი ნაბიჯი წინ, ხანუმა, მშვენიერი ელენეს მაძიებ., ორნბაზი	50	„	
ვაი ჭკუისაგან. გრიბოედ.	35	„	
თანამედროვე პიესები. ტარ.: კოცნა პირვ. ₰ უკანასკ., ფეხთა მეფე, მწუხარება დედაა სიამოვნებისა, მოხერხებული ადუკანტი.	30	„	
ილიას დღე ჯიათ. ₰ ბატ. ₰ ყმა	20	„	
კენჭის ყრა სცენ. 4 მოქ. ფ.	50	„	
მამა-შვილნი, ანუ გუბ. 3 მ.	15	„	
მტარვლის ბედი. დრ. მოქ.	10	„	
მეგობრობა. დრ. 4 მოქ.	30	„	
მეზობლები. ტრ. რ. 4 მოქ.	40	„	
მოლიერი. დრ. თხზ.	50	„	
მარო. დრამის ნაწყვ.	3	„	
მიჯაჭული პრომეთე, ედიპე მეფე, მედია.	50	„	
მეორე კაენი. დრ. 3 მოქ.	30	„	
მაკბეტი. ნათ. ი. მაჩაბლისა	40	„	
ნაძირალნი. გორკისა 4 მ.	25	„	
ნატვრის თვალი. ნათ. ახნაზ.	40	„	
ორი პიესა. ტრ. რ. შეშლილნი, კრიტიკოსთან.	25	„	
ორი პიესა, ცხოვრება ბრძოლაა, დრონი ძეფობენ.	50	„	
ორი ჯიბგირი. ნათ. აბაშ.	40	„	
პანთეონი ქართ. თ.: იქვიანი ვ. 1 მ., ბნელ ოთახში ვ. 1 მ., ახირებულია.	30	„	
რიჩარდ.	40	„	
საბედისწერო დამბაჩა დ. 3 მ.	25	„	
საღამოს ერთი ცხვირი ხეირია. კომ. 1 მოქ.	10	„	
სამშობლოს ბრუჯნი	10	„	
სამეგრ. მთ. ლევან ვ. ყიფ.	40	„	
უმარილის ბრალია. კ. 3 მ.	10	„	
ფეიქრები. დრ. 5 მოქ.	50	„	
ქრისტინე. დრ. 5 მოქ.	20	„	
ქართული პიესები: უშნო არშიყი, სოფიო, სცენა ქალაქის ცხოვრებიდან.	20	„	
ღალატი. ნათ. ყიფშიძისა	50	„	
ღალატი. ნათ. ნ. ავალ. 1	25	„	
ღალატი. ნათ. კ. მესხისა	25	„	
ცოლი ვიტირო თუ ფული!?	15	„	
შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა. დრ. 4 მოქ.	30	„	
წყურვილი. დრ. 3 მოქ.	30	„	

ადრესი: Тифл. О-во распр. грамотн. сред. груз насел. (წ. 1141.44)

საგულთალოზე

მშვენიერ ალაგას,

ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიბრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკრებად ოთხკუთხ **საჟენი 30 კ.-დან.**

მსურველთ შეეძლებიან მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანაბმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა.

(წ. 1147 299)

გამოცდილმა

მასწავლებელმა

ჩვეულებრივად წელსაც გააგრძელა მეცადინეობა მოსწავლე ქალ-ვაჟებთან. **მიღება პირობებით:** გიმნაზიისთვის სხვა და სხვა კლასებისთვის, როგორც საავადმ., ისე საქალებოსთვის. სამასწავლებლო ხარისხებზე, საბებიო ინსტიტუტისთვის, სამხედრო და სატენნიკო სასწავლებლისთვის.

აგრეთვე გააგრძელებს მიღებას:

სასულიერო სემინარიისთვის, გიმნაზიისთვის, რეალურ, სამხედრო და **მიწის მზომელთა** სასწავლებლისათვის, **სამოქალაქო** და **სატენნიკო** სასწავლებლისათვის. ამზადებს ერთ და ორ კლასიან **მასწავლებლობის ხარისხზე,** ყველა კლასის **ჩინისთვის.** ღებულობს **ანბანის უცოდინარ** ქალ-ვაჟებსაც. მეცადინეობა ჩვეულებრივად იქნება სამ ალაგას: 1) ვერაზე, 2) ვაგზალზე, 3) ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. მონაწილეობას იღებენ მასწავლებლები, მცოდნენი უცხო ენებისა და სხვა და სხვა საგნებისა.

იღებს პირობებით. მეცადინეობა იწყება დილის 8 საათზე და გრძელდება საღამო-8 საათამდე. მსურველ მოწაფეებს არა უფროსს 15 წლისა ღებულობს სრულ ხარჯზედაც **პანსიონში.**

მოლაპარაკება მასწავლებელთან შეიძლება ყოველ დღე, სანამ შეივსებოდეს აღნიშნული რიცხვი მოწაფეებისა.

Адресъ: Семеновская ул., д. 23, Кв. 1, входъ съ подъѣзда, нижній звонокъ. спросить учителя.

А съ Елизаветинской ул. д. № 38. (недалеко отъ памятн. Воронцову).

(თ. 1084.24)

ექიმი **ვ. მუსხელიშვილი** მიიღებს თვალის ავადმყოფ. ყოველ დღე დილ. 9—11 ს. დიდი მთავრის ქ., № 67, სახლი სვანიშვილისა.

ექიმი **ა. ნ. დიასამიძე** კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს, საღამ. 6 7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8 9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. № 3. ს. გაბაშვილისა. (უ

ექიმი **შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. **კახეთის ქ., № 1**

ექიმი **ი. ი. ბერიშვილი** სწამლობს **საშარდე** ორგანოთა. **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლევს ათაშანგისაგან მოწამლულ სისხლს.

მიღება ნაშუადღ. 3—5½ ს. **ელისაბედის ქ., № 94,** საფოსტო განყოფი. პირდაპირ.

(25—1178—33)

ექიმი **კ ბ ი ლ ი ს ა** **არჩილ (ბიოლოგი ბ—ძე)** **დ ო ლ ი ძ ე** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე.

რკინის გზის სამმართველოსთან, **ელისაბედის ქუჩა № 166.** (25.1179.33)

ექიმი **კ ბ ი ლ ი ს ა** **ნინო რცხილაძე** მიიღებს ავადმყოფებს დილის 10—2 ს.-მდე და საღამოს 5—7 ს. ადრესი: ოლღას ქუჩის შესახ. № 5.

სახელმწიფო სათათბირო

დ ე კ ე ნ ე ბ ი

თ-დი ვოლკონსკი თავმჯდომარეობს.

განაგრძობენ ბესარაბიის მხარეს არსებულ უცხოელთა სასულიერო დაწესებულებათა ქონების შემოსავლისა და მისი დახარჯვის კანონ-პროექტს.

მე-12 მუხლის თაობაზე ილაპარაკა **მლვდ. გეპეცკიმ.** მუხლი ეხება შემოსავლის განაწილებას. გეპეცკი მოითხოვს, მართლმადიდებელთა უწყების სასარგებლოდ, გარდა კომისიისაგან დაწესებულ სამი მეხუთედისა, 10 პროცენტი კიდევ გადაიდოსო.

გეპეცკის **სოლტუზი** მიემხრო.

მომხსენებელ სინადინოს შეაქვს შესწორება: მართლმადიდებელთა უწყებისათვის 275000 მანეთზე მეტი არ გადაიდოსო.

გულკინი სინადინოს შესწორებას ემხრობა. სათათბიროს ეს შესწორება მიიღო, გეპეცკისა უარჰყო.

შემდეგი მუხლები კომისიის რედაქციით მიიღეს.

მიიღეს კომისიის ფორმულა: მთავრობამ ბესარაბიის მიწათა სარგებლობის კანონ-პროექტი წარმოადგინოსო. მიიღეს აგრედვე გეპეცკის ფორმულა წმ. სპირიდონის საავადმყოფოს შესახებ.

უკამათოდ მიიღეს ეკატერინოსლავის სასწავლებლის სამთო ინსტიტუტად გადაკეთების კანონ-პროექტი.

სტემპკოვსკი კითხულობს მოხსენებას ვორონეჟში იმპერატორ პეტრე I სახელობის სამეურნეო ინსტიტუტის დაარსების კანონ-პროექტის თაობაზე და მოითხოვს მის დამტკიცებას.

გრაფი კაპნისტი მოითხოვს, მთავრობამ შეიმუშაოს კანონპროექტი სამეურნეო სასწავლებელთა დაარსებისა და სხვათა შორის პოლტავაშიაცაო.

სტარიცკიც იმას ამბობს, ვორონეცკის მაგივრად პოლტავაში უნდა დაარსდეს ინსტიტუტიო.

სტარიცკის ემხრობა **კორდიევსკი.**

ბერეზოვსკი ძალიან გაუწიწმატებია მომხსენებლის სიტყვას; კანონ-პროექტი სათათბიროს დამტკიცოსო. სათათბიროს ნება არა აქვს რისამე დამტკიცებისა და ამნაირი თქმა რუსეთის სახელმწიფოს წესწყობილების საწინააღმდეგოაო (მეშარცხენენი იცინიან).

კანონ-პროექტი მიიღეს **ვოლკოვი** მე-2 შესწორებით, რომელიც მასწავლებელთათვის ჯამაგირის მომატებას შეეხებოდა.

შემდეგ მიიღეს ორი წვრილმანი კანონ-პროექტი.

1912 წლის ხარჯთ-აღრიცხვის პროექტის კენჭის ყრაა.

ალექსეენკო. 1912 წლის ჩვეულებრივი და არა ჩვეულებრივი შემოსავალი იქნება 3,001,919,261 მან. ასეთსავე ხარჯს მოველით, მაგრამ რჩება 49,794,467 მან. რომელიც 1854 და 1855 წლის სესხის გასტუმრებას მოუნდებაო. ალექსეენკო აღნიშნავს სათათბირო წელს მესამე უდეფიციტო ხარჯთ-აღრიცხვას ამტკიცებსო და მოითხოვს პროექტის მიღებას (ტაშის ცემა).

მარკოვი მე-2 ამბობს, რა დროს სახელმწიფოს ვალების გასტუმრებაა, როდესაც სხვა ბევრი საჭიროება გვაწუხებსო. აქ სატაშო არაფერია თქვენ ხომ არ იცით, რაზე დაიხარჯება ეგ ფულიო.

პროექტი მიიღეს. ალექსეენკო ცენტრელებმა, ოპოზიციონერებმა და ნაციონალისტებმა ტაშის ცემით გააცილეს.

ლეონოვი კითხულობს მოხსენებას კერძო სასწავლებელთა, კლასებისა და კურსების კანონპროექტის გამო.

გარუსევიჩი უკმაყოფილოა, კანონ-პროექტში არარუსთა მანუგეშებელი სულ არაფერია, მაგრამ პოლონელები მაინც ხმას მისცემენ, რადგან პოლონეთში კანონის მაგივრად ადმინისტრაცია გამეფებულაო.

ტიმოშკინი. აღნიშნავს, ეგ მნიშვნელოვანი საკითხია და კონტრაბანდად ნუ გაგყავთ კანონპროექტიო.

ენიკეევი. ამ კანონპროექტს მიზნად აქვს ყველა არარუსთა გარუსება, ამიტომ მაჰმადიანთა ფრაქცია ვერ მიემხრობა და კანონპროექტი ვერ დაეამყოფილებს, მაგრამ მაინც არ უნდა ხალხის კულტურული წინსვლა შეაფერხოს და მიემხრობიან მუხლობრივ განხილვასაო.

მარკოვი მე-2 აღნიშნავს, პროექტი ურიებისათვის არის ხელსაყრელი და ურიებთ გაავსებს რუსის სოფლებსაო.

პირველ მუხლის თაობაზე, სახელდობრ, ვისა აქვს ნება კერძო სასწავლებელთა გახსნისაო, ლაპარაკობს **პორჩევსკი.** იგი მოითხოვს, ამის ნება სამრწველო დაწესებულებათა ჰქონდეთო.

განათლების მინისტრის თანაშემწე ტაუბე. კერძო სასწავლებელთა გახსნის უფლება უნდა ჰქონდეთ, მხოლოდ კერძო საზოგადოებათა და ამხანაგობებსაო.

ვორონკოვი მაჰმადიანთა შესწორებას ემხრობა და ამბობს, მიხნის მიუხედავად ყველა კერძო საზოგადოებათა და ამხანაგობას უნდა ჰქონდეს ნება სასწავლებლის გახსნისაო.

ტიმოშკინი მოითხოვს, სასწავლებელთა გამხსნელთათვის განათლების ცენზის მინიმუმი უნდა დაწესდესო.

პირველი მუხლი მაჰმადიანთა შესწორებით მიიღეს.

ფონ-ანრეპი მოითხოვს პირველი მუხლის შენიშვნის გამოტოვებას. შენიშვნა ეხება დასავლეთის ცხრა გუბერნიასა და ამბობს, პროექტმა ჯერ-ჯერობით იქ არ უნდა იმოქმედოსო.

პავლოვიჩიც წინააღმდეგია შესწორებისა.

შესწორება უარჰყვეს.

შემდეგ მუხლთა განხილვის დროს ლაპარაკობენ **ვორონკოვი, ტიმოშკინი, ტიჩინინი, გარუსევიჩი, მინისტრის თანაშემწე, ბლუმენტალი, მაციევიჩი, ფარჩევსკი, ფონ-ანრეპი** შეხუთე მუხლის გამო **ტიმოშკინმა** ილაპარაკა და მოითხოვა, ქალებისა და ვაჟების ერთად სწავლების ნებას ნუ მივცემთო. ტიმოშკინის წინადადება უარჰყვეს.

მეექვსე მუხლი სასწავლებელთა დამაარსებელთ ნებას აძლევს სასწავლებელის ენის ამორჩევისას. ქინისტრის თანაშემწე ამის წინააღმდეგი იყო, მაგრამ მისი წინადადება უარჰყვეს.

მე-6 მუხლი აწესებს, ისტორია და გეოგრაფია რუსულად უნდა ასწავლონო. მიიღეს **შჩეპკინის** შესწორება, რუსულად უნდა ასწავლონ მხოლოდ ისტორია და რუსეთის გეოგრაფიაო.

ფონ-ანრეპის წინადადებით ამ მუხლის შენიშვნა უარჰყვეს. იგი ამბობდა: დასავლეთისა, სამხრეთ-დასავლეთისა, სედლეცისა და ლუბლინის გუბერნიელებისა, ველიკოროსებისა, მალორუსებისათვის ყველა საგნის სწავლების ენა რუსული უნდა იყვესო.

მე-16 მუხლი ეხება სასწავლებლის გამგეთა, მასწავლებელთა და აღმზრდელთა განათლების ცენზსა.

ვორონკოვი სახაზინო სასწავლებელთ რო გაუთანასწოროთ კერძო სასწავლებელნი და მასწავლებელთათვის ისეთივე დიდი ცენზი დავაარსოთ, კერძო სასწავლებელთა გახსნას ძალიან შევზღუდავთო. ამიტომ მოლაპარაკე განათლების ცენზის ცოტა შემცირებას მოითხოვს.

მუხლი **ვორონკოვის** შესწორებით მიიღეს. უარჰყვეს მეორე შენიშვნა, რომელიც ამბობდა: რუსულ ენისა, ლიტერატურისა, ისტორიისა და გეოგრაფიის მასწავლებლად იმ ადგილებში, სადაც არარუსნი სჯარობენ, მარტო რუსები იყვენონ.

მიიღეს წინადადება, მომავალ კვირას სხდომა დავნიშნოთ ოთხშაბათს, ხუთშაბათს და შაბათსაო.

ახალი ამბავი

ტფილისი

ეპისკოპოსი დავითი, რომელიც პიატიგორსკში გადაიყვანეს, ახალ სამწყსოში 16 მაისს უნდა წასულიყო, მაგრამ სრულიად მოულოდნელად კვირას, 13 მაისს გაემგზავრა ღილის მატარებლით.

წვრილ კრედიტის საგუბერნიო კომიტეტი შემდეგს აცხადებს: 1) საგურამოს საკრედიტო ამხანაგობა გურამიანთ-კარიდან წინამძღვარიანთ-კარში გადადის, 2) ავლევის (გორის მაზრა) საკრედიტო ამხანაგობის რაიონში ჩარიცხულ იქმნენ შემდეგი სოფლები: ახალი ფლევი, სხლითი, წაღვლი, თიღვა და მუღრისი, 3) გლდანის (ტფ. მაზრა) საკრედიტო ამხანაგობის რაიონში ჩარიცხულ იქმნენ შემდეგი სოფლები: ქვემო-ავჭალა, მამკოდი და შირათხევი და 4) დოესის (გორის მაზრა) საკრედიტო ამხანაგობის რაიონში ჩარიცხულ იქმნენ სოფლები: ხოვლე, ქახვრელი და გრაკალი.

ნამესტნიკის საბჭოს კრება დღეს, 16 მაისს მოხდება. განსახილველი აქვს 13 საქმე. სხვათა შორის, განიხილავს საკითხს იმის შესახებ, მიეცეს თუ არა კავკავს ქალაქის თვითმმართველობას 710,000 მანეთი გრძელვადიან სესხის აღების ნება.

დამპალ ციებასთან ბრძოლა. ნამესტნიკის სამმართველოსთან დამპალ ციებასთან მებრძოლი კომიტეტი დაარსდა, რომლის მოქმედების გეგმა ნამესტნიკმა უკვე დამტკიცა.

ვერის საქალაქო პარკი იჯარით გაიცა. მოიჯარადრე ნეფარიძე ხელშეკრულობის ძალით ვალდებულია, პარკში თავის ხარჯით როტონდა და ბუფეტი მოაწყოს, გაიყვანოს ელექტრონის განათება და ტბაზე, რომელიც პარკშივეა, ნავები იქონიოს მსურველთა სასეირნოდ, რასაკვირველია, ფასით. პარკი მიეცა 6 წლის ვადით. საიჯარო ფასი: პირველს წელს—200 მან., შემდეგს ორს წელს—წელიწადში 400 მინ. და უკანასკნელს სამს წელს—წელიწადში 900 მან.

სეირნობის შემოსავალი. 6 მაისს „კაპეიკის კავშირის“ საზოგადოების სასარგებლოდ გამართულ სეირნობის მთელი შემოსავალი იყო 1953 მან. 95 კაპ., ხარჯი იყო 653 მ. 35 კ., წმინდა მოგება დარჩა—1,300 მან. 60 კაპ.

ილია ჭავჭავაძის თხზულებათა გამოცემა. ამ გამოცემის სარედაქციო კომისიას დაუდგენია, ახლავე შეგროვდეს ცნობები პროვინციაში დაგზავნილ საკვიტანციო წიგნაკების შესახებ, რათა გამორკვეულ იქმნას ხელის მომწერთა რიცხვი, რადგანაც დაბეჭდილ იქნება სწორედ იმდენი ცალი ილიას თხზულებისა, რამდენიც ხელის მომწერი აღმოჩნდება. ამ ცნობების შეგროვება ქ. ტფილისში დაევალა ნიკოლოზ ლონგინოზის ძეს კავსაძეს.

სავაჭრო ბანკის აქციებზე ხელის მოწერა ოთხს დღეს გაგრძელდება ბირჟის დარბაზში: 12-დან 24 მაისამდე. თითო აქცია 250 მან. ღირს.

თავის მოკვლის განზრახვით 12 მაის ნიშადურის სპირტი დალია მარიამ მიხეილის ასულმა გლადიშვილისამ, რომელიც სამკურნალო დახმარების აღმოსაჩენად მიხეილის საავადმყოფოში გაჰგზავნეს.

12 მაისს, დილის 8 საათზე, კახეთის ქუჩაზე მიმავალ ტრამვაის ვაგონიდან № 61 უცებ გადმოხტა უცნობი მოხუცი, წაიქცა და **მძიმედ დაშავდა.** მოხუცი, რომლის ვინაობა ახლაც გამოურკვეველია, არამიანცის საავადმყოფოში წაიყვანეს.

თავშესიფარი დაუძლურებულ სასულიერო პირთა და მათ ობლებისათვის. 1908 წელს სიონის საკათედრო ტაძრის დეკანოზის სვიმონიშვილის თაოსნობით შუამდგომლობა იქმნა აღძრული რათა სასულიერო წოდებისთვის ავლაბრის აგარაკში თავშესაფარის ასაშენებლად სახაზინო მიწა უფასოდ დაეთმოთ. ამ ჟამად უწმინდესი სინოდისაგან ცნობა მოვიდა, რომლიდანაც სჩანს, რომ სამღვდელოებისთვის ავლაბრის საადგილაკოში, კახეთის ქუჩაზე უმაღლესად დაუთმიათ 1,150 ოთხკუთხი საჟენი მიწა.

ყალბის საბუთებით ფულის გატანა. შარშან ჩვენ ვწერდით, რკინის გზის სამმართველოდან ვიღაც უცნობმა ყალბის საბუთებით 2,500 მან. გაიტანაო. ეს ფული უნდა მიეღო ქვრივ თამარა ივანეს ასულ გერსამიას, რომლის ქმარიც გიორგი გერსამია მემანქანე იყო, დაშავდა და დახმარებად მის ქვრივს 2,500 მან. დაენიშნა. მაძებარ პოლიციის უფროსმა საქმის გარემოება გამოარკვია და უკვე შეიპყრო მოტყუებით ფულის გამტანნი: ვლადიმერ ყიფიანი, მარიამ გერსამია (გიორგი გერსამიას დედა) და ამ უკანასკნელის შვილი პავლე გერსამია. პავლეს საყვარლის ბარბარე ბებუროვის შესაპყრობად მიღებულია ზომები.

რედაქციმ მიიღო საყმაწვილო ჟურნალ **ნაკადულის** მეცხრე ნომერი შემდეგის შინაარსით: „თინა“—ლექსი შიო მღვიმელისა, „მარიკოს მერცხალი“—მოთხრ. ი. ევდოშვილისა, „გლეხი და სიკვდილი“—ეგავი ეზოპისა, თარგმანი შიოშესი. „ძელიას ოსტატობა“—ლექ. (თარგმ. ალიმია შვილისა. „ოთხნი ერთ ოჯახიდან (თარგ. [illegible]), „[illegible] იცავენ თავს ცხოველები მტრისაგან“—გ. ანთელიძისა., გასართობი და სხვა.

15 მაისს **სანიტარულ მზრუნველმა გ. ი. თოიძემ** სასანიტ. ექიმმა გ. ვ. ნათიშვილმა და ფერშ. ძიძიშვილმა დაათვალიერეს მერვე რაიონი. 1) სასადილო „ლუვრში“ რომელიც ეკუთვნის მაჯავარიანს აღმოაჩინეს აუარებელი ძველი სუკი და სხვა დამზადებული ხორციეულება 12 გირ. 2) 19 თებერვლის ქუჩის და ეკატერინეს ქუჩის კუთხები მირზა ოღლის სავაჭროში იპოვეს ჯანმრთელობისთვის მავნებელი საღებავის გაკეთებული ტკბილეულობა და მოსპეს 5 გირ. 3) რიყეზე, სადაც რიყისტრამვაის ვაგონები ჩერდება, ეგრედ წოდებულ „სამანნი მოედანზე“ სადაც ქალაქის არხის პირი მოდის მეტად უსუფთაოა და ახლოს გავლა ჭირს ისეთი მყრალი სუნი ამოჰქრის ღონის ძიება მიიღო ზემოხსენებულმა კომისიამ ამათ თავიდან ასაცილებლად.

მერძევეთა ამხანაგობა „ლილო“. 14 აპრილს, სოფ. ლილოს მერძევეთა საკოოპერაციო ამხანაგობამ უკვე დაიწყო მოქმედება და ტფილისში ჩამოუტანა რძე შემდეგ ფირმებს: „სევერნოე და იუჟნოე მოლოჩნოე „გენეს“ საკანდიტეროს, გვამიჩავს საკანდიტრო „დოვერიეს“-ს, და ექიმ მელიქიშვილის სამკურნალოს. ეს ამხანაგობა, როგორც ვწერდით, მოაწყეს ქართველთა სამეურნეო საზოგადოების საკოოპერაციო სექციის წარმომადგენლებმა. რძე თუნუქის სუფთა გესმეტილად დახურულ ჭურჭლებით ჩამოაქვთ, ჭურჭელს საკოოპერაციო ამხანაგობის პლომბები აქვს და საგანგებო რესორებიან ეტლით მოაქვთ ხოლმე ტფილისში.

ცოლის დაჭრა. ჩვენ ვწერდით, რომ 12 მაისს ლორის-მელიქოვისა და ბარონის ქუჩების კუთხეში უცნობმა კაცმა ქალი დანით მძიმედ დასჭრაო. კაცი აღმოჩნდა რაჭის მაზრის სოფელ ღვიარის მცხოვრები ვარლამ ამირანის ძე გორგასლიძე რომელსაც ეჭვი აუღია, რომ ცოლი ოლგა ჰალატობს. ამიტომ ქუჩაზე დახვედრია და დანა გულში ორჯელ ჩაუცია.

13 მაისს ქართულ თეატრში **გრიგოლ რობაქიძემ** წაიკითხა ლექცია (რუსულად): **„ხელოვნება და სინამდვილე“.** ლექცია ფრიად საგულისხმო იყო და ისეთის ხელოვნებით აკინძული, რომ მისი შინაარსის მოკლედ გადმოცემა მოუხერხებელია და პოეტიურ მხიბლაობასაც დაჰკარგავს, პატივცემული ლექტორი დაგვპირდა, რომ ამ ლექციას, ქუთაისში წაკითხვის შემდეგ, გადმოგვცემს ჩვენს გაზეთში დასაბეჭდად.

14 მაისს, დილის 5 საათზე, ქალაქის საგაჭრო-სამეურნეო პოლიციის ბაზრის ყველა ზედამხედველთ. ტერ-ოგანესოვმა, ზავაროვმა, აგ. მიკირტუმიანცმა, მინასიანცმა და სუკიასოვმა მოულოდნელად დაათვალიერეს „სალდათის ბაზრის“ ყველა საყასბოები და აღმოაჩინეს შემდეგი. დარჩო დივანოვს 1 ფუთი 18 გირ. შეუმოწმებელი ხორცი, სერგო სარქისოვს 24 გირვანქა დამპალი ხორცი, ამბარაცუმ ამბოევს 13 გირ. შეუმოწმებელი, (ერთი დღით წინ ამავე მეხორ-ცეს რვა შეუმოწმებელი ცხვარი და უჭირეს), გეურქ მირაქოვს 27 გირ. ხბოს ხორცი.

12 მაისს ტფილისში 76 უპასპორტო შეიპყრეს,

საზოგადოებანი და კრებები

კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრება ზაფხულამდე მხოლოდ ერთხელ-ღა მოხდება. განხილულ იქმნება მიმდინარე საკითხები და მოხსენებანი.

ცეცხლის მქრობელთა თავისუფალ საზოგადოების დამფუძნებელთა კრება 18 მაისს მოხდება.

კახეთის მევენახეთა საზოგადოების „კახეთია“-ს წევრთა საერო კრება ორშაბათს, 14 მაისს დაიწყო თავად-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოში. კრებამ რამდენიმე წვრილმანი საკითხი განიხილა. კამათი გამოიწვია საკითხმა იმის შესახებ, თუ რა მოუხერხონ იმ 120,000 მანეთს, რომელიც საზოგადოების წევრთ აქვთ გატანილი და საზოგადოებისთვის ალარ დაუბრუნებიათ. გამოითქვა სხვა და სხვა აზრი, მაგრამ საკითხის საბოლოოდ გადაწყვეტა გადაიდო სამშაბათის საღამოს 7 საათისათვის.

ქართულ სასოფლო სამეურნეო საზოგადოების გამგეობას

ყურადღება!

თუთუნის მწეველთ ვთხოვთ,

ყურადღება მიაქციონ

ახლად გამოსულ პაპიროსებს

„ირის“,

25 ცალი 15 კ. ₰ 10 ც.—6 კ.

საუკეთესო და კარგად გამოსულ ოსმალურ თუთუნისა, ნაზი სურნელება აქვს და რბილი სასიამოვნო გემო.

ყველგან იყიდება.

თამბაქ. ქარხანა

„ძმ. სეილანოვები“.

ტფილისი, ალექსანდრეს ქ. № 42.

(100.1036.43)

სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქუჩაზე, №23. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

პროფ. სუბბოტინი. ქირურგ. ავად. ორშ. ხუთშ. 3—4 ს. წინდაწინ ჩაწერვით.

ასპასიოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

ბოჟოვსკი. ორშ., ოთხშ., პარასკ.. კვირ.

გრეიცი—თვალ. ავადმყ., ყოვ.-დღე 12-1 ს. 4—5 საათ.

არგუთინსკი, შინაგ., ბავშვ. ყოველ დღე 9½ საათ. 1½ ს.

მონსე. ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ორშაბ., ოთხშაბ., პარასკ. 1½—3 საათ.

ნოვიცკი. ქალთა ავადმყ., ყოველ დღე 1—2 საათ.

კალამკაროვი. ქალის ავად. ყოველ-დღე გარდა ხუთშაბათისა, 12—1 საათ.

უკლადნიკოვი. შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

თეთრაძე. სიფ.. ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყოველ-დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—1 საათ.

კონსულტანტი შინაგ. ავად. ტ. ი, **რუდენკო.** ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.

ვესელოვზოროვი ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

ერმოლაევი—ბავშვ., შინაგან.-ყ. დღ. 1-2 ს.

ტერ-ნერსესოვი. ქირურგ. ყოველ დღე გარდა ხუთშ. 1—1½ ს.

იოსელიანისა ქალთა ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ბაგდოევისა, კბილ. ყოველ დღე 3—5 ს.

ლიმონი. კბილ. 10—11 ს.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 5—7 საათამდე.

კონსულტანტი ბირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ი. სუბბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინდაწინვე ჩაწერით (თ. 1234—7).

ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

ე. ს. ვაშაკიძე. ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს,

ა. ნ. დიასამიძე ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ, კანისა და ვენერ. 11 12 ს.

ბ. ა. ბოპოვი ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11 11 ½.

შ. ა. მიქელაძე შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1 2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი. ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1 2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრედვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლოგა 606 -

(წლ.—1018—268)

ექიმი **ე. ვ ა შ ა კ ი ძ ე** იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს, დილით 3—9 ს., საღამოთი —7 ს. ბაქოს ქ. № 12 ს. (9—80.

ექიმი **კ ბ ი ლ ი ს ა** **ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9-2 საათ. და საღ., 5—7 ს-მდე. გოლოვინის პრ., № 12. სახლი მდივნისა.

ხუთშაბათს, 17 მაისს, საღამოს 8 საათზე კრება აქვს საიმპერატორო სას.-სამეურნეო საზოგადოების დარგაზში და სთხოვს წევრთ, მობრძანდნენ კრებაზე. **განსახილველია:** ბ-ნ შ. დედაბრიშვილის მოხსენება და მორიგ საქმეების განხილვა.

სასწავლებლებში

✦ **ვაჟთა პირველ გიმნაზიის** მეორე კლასის 35 მოსწავლე ორს საგანში გამოცდის შემდეგ დანარჩენს ეგზამენებს აღარ დაუშვეს.

ქუთაისი.

✦ **წ. კ. ს. ქუთაისის განყოფილების** სეირნობას 6 მაისს კარგი ამინდი დაუდგა. ქუთაისის ბულვარი ხალხით გაივსო; წინდაწინვე დამზადებული ბილეთები ორ საათში გაიყიდა და იძულებულნი გახდნენ კიდევ დაემზადებინათ. სეირნობაზე მრავალი გასართობი იყო გამართული; ბაზრისთვისაც დიდ-ძალი ნივთები შეეკრიბათ. ნივთები თითქმის სულ გაიყიდა ისე რომ მოსალოდნელია შემოსავალი 1200 მანეთს აღემატოს. ქუთაისის ინტელიგენციამ, როგორც სხვა საქმეში, აქაც გულ გრილობა გამოიჩინა. ვექილების, ექიმებს, მოხელეებს, მასწავლებლებს, თითო ოროლას გარდა, ვერსად ნახავდით.

ქართული გიმნაზიის მერვე კლასის მოწაფეთაგან 24 მსაცეს ნება ზეპირ გამოცდაზე შესვლისა. გამოცდა 7 მაისიდან 18 ივნისამდე გაგრძელდება.

სომეხთა ცხოვრება

✦ გაზ. „მშაკის“ იუბილეს გამო დაარსებულ ქალთა კომიტეტმა დღემდე მიიღო 110 მანეთი „ქალთა საკითხის კრებულის“ გამოცემის სასარგებლოდ.

✦ სომხურ დრამატიულ საზოგადოების საკონკურსო ციტრომ 100 მანეთი მიუსაჯა იბსენის „ბრანდის“ მთარგმნელს ზ. ხამბაზიანს და ლ. ტოლსტოის „განათლების ნაყოფი“-ს მთარგმნელს.

✦ სომეხთა მგოსნის **ჰ. ჰოვჰანესიანის** სალიტერატურო მოღვაწეობის იუბილე გადაიდო ენკენისთვემდე.

✦ კავკასიის სომეხ. **ქალთა საქველმოქმედო საზოგადოებამ** ა. მანთაშევის მემკვიდრეებისაგან მიიღო 20,000 მანეთი საზოგადოების სასარგებლოდ.

✦ **„მშაკის“** ფონდის სასარგებლოთ დღემდე შეგროვებულა 14,911 მანეთი.

✦ მაისის 25-ს ტფილისში პირველად წარმოადგენენ სომხურ ოპერას „ლებლეჯიბისას“. მისი შემოსავალი გადაიდება სომხის გამოჩენილ მწერლის ხ. აბოვიანის სასარგებლო თანხის სასარგებლოდ. საფლავი დღემდე არავინ იცის, ვინაიდან აბოვიანი ისევე უკვლო უგზოდ დაიკარგა, როგორც ქართველი მოღვაწე ვ. მაჩაბელი.

✦ სრულიად **სომეხთა კათალიკოსის** გევორქმეხუთეს გამგზავრება დროებით გადაიდო.

✦ „მშაკის“ იუბილეის მეორე, ესე იგი ბანკეტის დღეს, მაისის 27-ს **მსახიობი გ. გედევანოვი** ქართულ თეატრში გამართავს წარმოდგენას, ითამაშებენ გ. სუნდუკიანის „ბეპოს“.

✦ ჰუნგრეთის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნული ვლადისლავ ლუკაჩი (დუკასიან) შთამამავლობით სომეხიაო, სწერს ერთ ერთი **სომხური** გაზეთი.

მაჰმადიანთა ცხოვრება.

✦ სახელმწიფო სათათბიროს წევრი ხასმამედოვი ავადმყოფობის გამო მეოთხე სათათბიროსათვის თავის კანდიტატურას აღარ წამოაყენებს.

✦ დაღესტნელებს შუამდგომლობა აღუძრავთ, დაღესტანში წვრილ კრედიტის საზოგადოებანი დაარსდეს.

✦ ლენქორანის მაჰმადიანებს დაუდგენიათ მუდმივი სასეანო დასი დაარსონ თათრულ წარმოდგენების გასამართავად.

✦ ჰაჯი-იბრაჰიმ კასიმოვს დაუწერია თათრულ ენაზე ახალი ოპერეტი, „ლეილი და მეჯნუნი“.

სოფლად

✦ **დ. ხარაგაული.** ამას წინად აქ მოვიდა ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე დაათვალიერა ადგილობრივ მომრიგებელ **სასამართლოს შენობა,** სახლი მოსწონებია და აღუთქვამს ივნისის პირველ რიცხვებიდან სასამართლოს დაარსება.

✦ დეკანოზ როპონოსის ძეს აღუძრავს შუამდგომლობა თავის ხარჯით (ოთხასი თუმანი ჰქონია გადადებული) **ორ კლასიან** ქალთა სამრევლო სკოლის დარსების შესახებ თავის ერთად ერთ ასულის, აწ განსვენებულ 13 წლის მაშიკას სახელობაზე.

✦ ხანგრძლივმა წვიმებმა ადრე ნათესი **სიმინდი ამოალპო** და განმეორებით სთესავენ.

შემოწირულება

ქ. შ. წ. კ. გამავრცელებელი საზოგადოებას სეირნობისთვის შემოსწირეს

24. ქალბატონმა მამაცელიძემ: ერთი გრაფინი, ხელიანი ჭიქა, ორი ჩარჩო სურათებით, ღილები, ყელის მძივი, ნაკერი ბალიში, ერთი კვერცხი მარმარილოსი.

25. თამარა გიორგის ასულმა მანდენოვმა: ორი კონვერტი ღია-წერილებისათვის, დასურათებული.

26. თ-დმა იასონ ციციშვილმა: 1) გულის ქინძისთავი, 2) საკალმე ფაიფურის, 3) ხელ-საქმის ყუთი, თავის იარაღით, 4) პანორამა, 5) მინის მუნშტუკი, 6) მედალიონი, 7) ყულაბა, 8) შაქრის მაშა, ფრაჟესი, 9) კალმის-ტარი მანქანა, 10) ჩასაწერი ალბომი, 11) ფოსტის კონვერტები, 12) სამღებრო, 13) ჩარჩო სურათისთვის, 14) დასურათებული კონვერტები, 15) დასურათებული ფოსტის ქაღალდები,—სულ ღირებული 11 მანეთად.

27. იულია რევაზის ასულმა ჯავრიშვილმა: მინის ორი თეფში და ერთი ფაიფურის კვერცხი.

კაგალის მსხვერპლი.

(წერილი ქიზიყიდან)

10 მაისს საღამოს 11 საათზე სამი შეიარაღებულნი უცნობნი, თავს დაეცნენ და ვერაგულად მოჰკლეს მონაწილე კაბალის ძამულისა, და მოურავი ამავე ძამულისა თ-დი სოსო ვაჩნაძე—(იგივე ედიშერიშვილი) მცხოვრები სოფელ ბაკურციხეში.

საჩქაროდ გაჩდნენ, ადგილობრივი ბოქაული—სტრაჟნიკებით, და მეორე დღესვე მოეშველა სიღნაღის მაზრის უფროსი და მაძებარ პოლიციის ძაღლები, რომელნიც გაცხარებულს გამოძიებას აწარმოებენ მკვლელების აღმოსაჩენად. ჯერ-ჯერობით გამოირკვა შემდეგი: როდესაც თავადისათვის კარები დაურახუნებიათ, მას ეშვი შესვლია და უთქომს ხვალე მოდითო, უცნობებს ძალით შესვლა მოუთხოვნიათ და მისწოლიან კარებს. მაგრამ თავადი შიგნიდან აწვებოდა თურმე კარებს. კარი რომ ვერ შეუმტვრევიათ, გარედან კარებისათვის დაუშენიათ რევოლვერი. სუსტი ფიცარი ტყვიას გაეხვრიტნა და თავადს შუბლში მოხვედროდა. დამცემნი შეჭრილან სახლში და თექვსმეტჯერ კიდევ დაუციათ რევოლვერი გულ-მკერდში. მოკლულის ტანისამოსს ცეცხლი გასჩენია და მკვლელებს წყლით გაუქვრიათ.

მაძებარ პოლიციის ძაღლებმა აღმოაჩინეს მკვლელების კვალი ხოლოდ ნახევარ ვერსზე მდებარე ფარდულამდე მიიტანეს. იქიდგან კი დაჰკარგეს—კვალი. ამბობენ, მკვლელები ბევრი ყოფილან და ძაღლებიც ჰყოლიათო, იმიტომ კვალს ვეღარა ვპოვებთო. თამბაქოს ფარდული უპატრონოდ ყოფილა მიტოვებული.

ქ. სიღნაღის მაზრის უფროსი ამ გამოძიებამ ვერ დაკმაყოფილა და სასტიკად განაგრძობს ძიებას.

ამ უბედურებამ მთელ კაბლის საზოგადოებაზე საშინელი გავლენა მოახდინა და ხალხში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. მზათ არიან ხელში მისცენ—მკვლელი მაგრამ საუბედუროდ ვერ იციან რომელმან ცოდვილმა მირჯვენამ მოუღო კახეთის მამულიშვილს და საქართველოს მეპურმარილე ადამიანთაგანს უწყინარს თ-დ სოსო ვაჩნაძეს ბოლო, და მისს გმირულს შეხედულებას რომელსაც თან სდევდა ადამიანური სინდისი.

ბ. ნატროშვილი.

ტფილისის ქართველ მოღვაწეთ-მგალობელთა გუნდი.

როგორც გავიგეთ, გამგეობა საამხანაგო გუნდისა, რომელსაც ლოტბარობს მიხეილ კავსაძე აპირებს, გამართოს რამდენიმე კონცერტი ტფილისში და შემდეგ გაემგზავროს დასავლეთ საქართველოსა და განჯა-ბაქოს კენ. გუნდში მონაწილეობს 30 კაცი. შესწავლული აქვთ ხალხური—როგორც ჩვენი, ისე განსვენებულ **იოსებ რატილის** მიერ გადმოღებული ევროპიული სიმღერები.

ამავე გუნდს განზრახვა აქვს სისტემატიურად მოაწყოს ქართული ძველი სამ-ხმიანი გალობა ეკლესიებში, რაზედაც უკვე მოლაპარაკება აქვთ რამდენიმე ქართველ მღვდლებთან.

21 აპრილს ამხანაგობას საზოგადო წლიური კრება ჰქონდა. გუნდს დაარსებიდან ე. ი. 1910 წლიდან 1912 წ. სულ შემოსავალი ჰქონია ას თუმნამდე, გასავალი ორმოც-და-ათი თუმანი და წმინდა მოგება დარჩენია ორმოც-და ათი თუმანი. ამ ფულით შეუძენიათ 26 ხელი ქულაჯა. ამხანაგობის არჩეულ კომისიის მიერ შემუშავებული წესდება კრებამ დაამტკიცა. კრებამ ერთი წლით აირჩია თამგეობა, რომელშიაც მოჰყვნენ: ბ. ნიკოლოზ კავსაძე, ანდრია კავსაძე, ნიკოლოზ ჭრელაშვილი, ნოე ლეჟავა, ლუარსაბ ჯანდიერი. მათ კანდიდატებად: გრიგოლ ქურთიშვილი და ნიკოლოზ ნასყიდაშვილი. სარევიზიო კომისიაში: იოსებ გოძიაშვილი, ზაქარია თაყაიშვილი და იოსებ ბეჟანიშვილი.

გამგეობამ თავის შორის ამოირჩია თავმჯდომარედ ნიკოლოზ ჭრელაშვილი და მდივნად გრიგოლ ქურთიშვილი.

იმედია, ეს ამხანაგობა არ გადაუხვევს თავის გზას და განახორციელებს განზრახულ მიზანს, რომელიც გამოიხატება მუდმივ გუნდის ყოლაში, საქართველოს ყველა კუთხის ხალხურ სიმღერა-გალობის შესწავლა გავრცელებაში. აგრედვე სასიმღერო კრებულების გამოცემაში.

დიდი საქმე აქვს ნაკისრი საზოგადოდ ამ ამხანაგობას და კერძოდ ბ. მიხეილ კავსაძეს. ვუსურვებ, რომ ჰკაფონ ძნელი ეკლიანი გზა და ხელი-ხელ ჩაკიდებულნი განაგრძობდნენ ამ სასიქადულო საქმეს. დაუვიწყარნი არიან განსვენებული **ლადო აღნიაშვილი** და **იოსებ რატილი,** რომელთაც ამ საქმეს პირველად ჩაუყარეს საძირკველი ჩვენში ამ 25 წლის წინად. იუბილეისაც გუნდი მომავალში გამართავს

ტოგო.

არეულობა სპარსეთში

დეპეშები

თეირანი. მთავრობის ჯარმა ქურთისტანის დედა ქალაქ ბენე აიღო. მცხოვრებლებმა მორჩილება განაცხადეს. ზოგნი ამბობენ, მუჯელალუს-სალტანე ქერმან შაჰს გაიქცაო, ზოგნი კიდევ ამბობენ, ტყვედ ჩაიგდეს და დახვრიტესო. მართალია თუ არა სალარ-უდ-დოულეს სიკვდილის ამბავი, დანამდვილებით ჯერ ვერ გაუგიათ ამბობენ, ქელხურის ხანმა სხვაგან გაგზავნაო.

თავრიზი. სტამბოლიდან აქ გამოუგზავნიათ სპარსეთის სარევოლუციო ენჯუმენის პროკლამაციები. პროკლამაცია მოუწოდებს ხალხს, კონსტიტუცია დაიცავით, რეგენტი არ გაუშვათ სპარსეთიდან, მეჯლისის გახსნამდე და რუსის ჯარის წასვლამდე ებრძოლეთ სალარ-უდ-დოულესაო. პროკლამაციას საფუძვლად უდევს მორგან შუსტერის მიერ ლონდონში წარმოთქმული სიტყვა.

პეტერბურგი. სალარ-უდ-დოულეს დეპეშათა პეტერბურგის სააგენტოსათვის ქანეკენიდან შემდეგი დეპეშა გაუგზავნია: როდესაც სპარსეთში დაებრუნდი, მინდოდა მომესპო არეულობა, რომელიც თეირანის მთავრობის უძლურებას გამოეწვია, მაგრამ იძულებული ვიყავი მთავრობის ჯარს შევბრძოლებოდი და დავამარცხე კიდეც, მიუხედავად ამისა, წინადადება მივეცი რეგენტს შეერიგებისა და ვურჩიე: სულთან-აბადში მინისტრებისა, დიდ ულემებისა, თემთა ბელადებისა და ჯარის წარმომადგენელთა მონაწილეობით თათბირი გავმართოთ მეთქი. მე უეჭველად დავემორჩილები მოთათბირეთა გადაწყვეტილებას. მაგრამ თუ თეირანის მთავრობამ წინადადება უარჰყო, მაშინ 150 ათასი კაცით თავს დავესხმიო.

დასასრულ სალარ-უდ-დოულე ევროპის სახელმწიფოთა სთხოვს, თეირანის მთავრობაზე გავლენა მოახდინეთ და მშვიდობიანობის დამყარებაში მომეხმარენითო.

დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. საგან)

საზღვარ-გარედ

13, 14 და 15 მაისი.

ავსტრია-ჰუნგრეთის ამბავი.

ბუდაპეშტი. დეპუტატთა პალატა. პარლამენტის წინ სამხედრო რაზმი დაუყენებიათ. პარლამენტის ქუჩებში გავლის ნებას არავის აძლევენ. პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, ზოგიერთმა დეპუტატმა ბოდიში უნდა მოიხადონო. კოვაჩი გამორიცხეს 30 სხდომიდან, რატი—რვა. 10 მაისის ამბის გამო შეკითხვა შეიტანეს. მინისტრ-პრეზიდენტმა ლუკაჩმა განაცხადა, 10 მაისის დემონსტრაციის გამომწვევი საარჩევნო რეფორმის საკითხის გარჩევა არ გახლავთო. აღბად ეს დემონსტრაციები სოციალ-დემოკრატთა კომიტეტმა ძალის საცდელად თუ გამართაო. შეუძლებელია იმათი მეგობრობა, ვინც თავის თვალსაზრისს ძარცვა გლეჯითა, ცეცხლითა და მკვლელობით იცავენო (მემარჯვენენი ტაშს უკრავენ).

მთავრობამ მოქალაქეთა დასაცავათ ღონისძიება მიიღო. მრეწველებმა გადასწყვიტეს დათხოვნილი მუშები სამშაბათს ისევ მიიღონ. ხუთ საათზე 300 კაცმა კიდევ მოახდინა არეულობა. ჟანდარმებმა წესიერება აღადგინეს. 140 დააპატიმრეს. კუნძულ გელზენზე რამდენიმე ათასი კაცი შეიკრიბა და ქალაქს მოაშურა. პოლიციამ [illegible]

ალბანეთის აჯანყება.

უსკიუბი. [illegible] ში მიტროვიცაში გაგზავნეს ოთხი ბატალიონი, სამი ტყვიის მფრქეველი და 36 ვაგონი სურსათი. კესტუნდიკში ალბანელებს მოლაპარაკება აქვთ ოსმალეთის საწინააღმდეგო მოქმედების გამო. იპეკის მხრის სერბიელი გლეხობა ალბანელებს ეხმარება. იპეკს ახლა არნაუტებმა ოთხი ზარბაზანი და სურსათი დაიჭირეს.

სალონიკი. გაზეთ „თენიასირში“ დაბეჭდილია სალონიკის ვალის ქიაზიმ-ბეის წერილი, რომელიც ეხება მთავრობის პოლიტიკას ალბანეთში. ვალი ცნობილი მომხრეა „ახალგაზდა ოსმალთა“.

სეიმენი. ნადეპუტატარმა იზმაილქემალმა, რომელიც 8 ათასს ალბანელს ჰბელადობს, პორტას მოთხოვნილებათა ქაღალდი გაუგზავნა.

მაროკოს ამბავი.

ფეეი. წუხელის ბერბერები მეორედ მიესივნენ ქალაქს, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ. დილით სროლა ისევ განახლდა.

ევროპიელები არ დაზარალებულან, ფრანგებმა ზარბაზნით განფანტეს აჯანყებულნი. აჯანყებულნი დიდად დაზარალებულან.

ინგლისის გაფიცვა.

ლონდონი. სატრანსპორტო მუშების გაფიცვის გამო რკინის გზებზე მიმოსვლა შესწყდა.

ლვოვის არეულობის გამო.

ვენა. „ფრემდენბლატი“ სწერს: მიცკევიჩის ძეგლთან მომხდარ არეულობის გამო მთავრობამ სასტიკი გამოძიება დანიშნა. თუმცა დამნაშავე, ვითომც სტუდენტი, ჯერ ვერ აღმოუჩენიათ, მაგრამ ძალიან დასჯას კი უპირებენ.

ურგა. მონგოლეთის მთავრობამ გადასწყვიტა ქალაქის მონგოლეთის ნაწილში მცხოვრებ ჩინელთა განდევნა. ვინც მონგოლთან სცხოვრობს, ათი დღის განმავლობაში უნდა მიატოვოს ქალაქი, ვინც ცალკე სცხოვრობს ერთი თვის განმავლობაში. სურვილი აქვთ ქალაქში ჩინელების მიერ გამართული სხვა და სხვა დუქნები მოსპონ.

რუსეთი

ლენის ამბის გამო.

პეტერბურგი. გამოაცხადეს უმაღლესად დამტკიცებული ინსტრუქცია სენატორ მანუხინის მიმართ, რომელმაც ლენის გაფიცვის ამბავი უნდა გამოიკვლიოს. მორევიზიე სენატორს ნება ეძლება მოსთხოვოს მთავრობასა და ყველა დაწესებულებას, რასაც კი მცირეოდენი კავშირი ეძნება ლენის მაღაროებთან, მოსთხოვოს ცნობები და შეაჩეროს გენერალ-გუბერნატორისა და გუბერნატორის განკარგულებანი, თუ საქმის გამორკვევისათვის იქნება საჭირო.

რევიზიის შედეგი სენატორმა ხელმწიფე იმპერატორს უნდა მოახსენოს.

საუკუნეთა ლეგენდები ჩვენს უახლოეს ლიტერატურაში.

„მედეია და მშვენიერი ელენე“ ა. შანშიაშვილისა.

(შემდეგი *)

II

საზოგადოდ პოეზიაში, როგორც მუსიკაში, თუ კი შესავალი უძღვის წინ, ეგრედ-წოდებული ინტროდუქცია, უნდა მოკლედ და მკაფიოდ გვაგებინებდეს, თუ რა უნდა სთქვას პოეტმა, ანუ მუსიკოსმა, რა ჰანგს ანუ რა მელოდიას განავითარებს შემდეგ. თუ შესავალი არ აძლევს მსმენელს ტონს, მაშინ სულაც რომ მოიწყვიტოს ასეთი შესავალი, უმჯობესი იქნება. განა უკვდავ შოთას „ვეფხის ტყაოსანს“ რამე დააკლდება, რომ არეულ-დარეული შესავალი მოვწყვიტოთ? არაფერი! (ჩვენ აქ განხილვაში არ შევდივართ, მართლა შოთას კალამს ეკუთვნის ეს შესავალი, თუ სხვისაგან არის ჩამატებული, ოღონდ ვიტყვით, რომ მთელი ეს შესავალი დიახაც რომ „ვეფხის ტყაოსნის“ ხორცმეტია, კუზი!).

სამწუხაროდ, შანშიაშვილის პოემის შესავალიც გაუვალ ლაბირინტს წარმოადგენს. ბევრი ვეცადეთ, თითქმის ტაეპებიც კი გადავსხ-გადმოვსხით, რომ შესავლისათვის მართლა ადგილი დაგვეთმო ამ მშვენიერს პოემაში, მაგრამ არ იქმნა, პოემა და შესავალი შორი-შორს სდგანან და შემაერთებელი ძაფი ვერ აღმოვაჩენთ. საზოგადოდ შანშიაშვილი მეტად სუსტია მაშინ, როდესაც ფილოსოფოსობს. განა ვისთვის არ არის ცხადი ის სამწუხარო ფაქტი, რომ მისი მეორე თხზულება „შვების თავადი“, მიუხედავად იმისა, რომ ადგილ-ადგილ პათოსით იკითხება, ერთი-ერთმანეთის მოწინააღმდეგე აზრთა კუნწულის მეტს არას წარმოადგენს!

სიტყვა რომ არ გაგვიგრძელდეს, უკრიტიკოდ ვსტოვებთ შესავალს და პირდაპირ ლეგენდას დავუბრუნდებით.

იოლქის მეფე **აფამონტი** სიკვდილის წინ მოიხმობს თავის ძმა **კრიტესს,** რომელსაც გადასცემს ტახტს და ანდერძს დაუტოვებს, რომ მისი პატარა ქალ-ვაჟი **ელე** და **ფრიქსი** ისე აღზარდონ, როგორც მეფის შვილთ ეკადრებათ. მართლაც პატარა და-ძმას ანდერძისამებრ ღირსეულად ზრდიან. მუდამ ერთად ყოფნამ, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, უმანკო ბავშვები ჰასაკობის დროს ერთმანეთს შეაყვარა: პატარა მიჯნურთ მალე თავიანთ ტრფობის იქით მზე აღარ ამოსდით. ერთმანეთს ჩანგს უჟღერებენ, ერთად ლაღობენ, დაჰხარიან მინდვრად პეპელებს. და-ძმის სიყვარული შეუმჩნევლად არ რჩება ახალს დედოფალს —**დემეტიკას,** რომელიც მხოლოდ განხორციელებული ვნებაა და ფარულად ფრიქსს ეთაყვანება. დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ დემეტიკა დასძლევს თავის-თავს და რამდენჯერმე თავის ხვაშიადს გაუმჟღავნებს (უეჭველია, რომელიმე მახვილის, ანუ მინის საშუალებით, თუმცა ეს პოემიდან არა სჩანს). მაგრამ ფრიქსი სდუმს და პასუხი ფიქრადაც არ მოსდის. რამდენიც გვიანდება ფრიქსის პასუხი, იმდენი მოუთმენლობის ცეცხლით იწვის დედოფალი მას სიყვარული უკიდურესობამდინ მიიყვანს და აღგზნებული ვნების ცეცხლით იგი მხოლოდ თავის პირუტყვის გაკეკლუცებას უნდება, რომლის თვითეული ატომიც კი ვნებისა და ჟინიანობის სულით სუნთქავს. მაგრამ აქ სიტყვა დავუთმოთ თვით მგოსანს. პროზა მეტად უძლურია ჩემს ხელში, რომ ხელოვნურად აღელვებულ რითმათა ტალღების ილლუზია რამოდენადმე მაინც გადმოვცე. აი ეს ადგილიც:

„დემეტიკა ტანთ იცვამდა სამოსს გვერდით ჩახეულსა,
მოძრაობას არ უშლიდა ლაღად სრბოლა დაჩვეულსა.
ვით ლეჩაქი გამაჰვირვალე, ეკვრებოდა ნაზ სხეულსა,
ნაკვთი ნაკვთად ემჩნეოდა. საროს ტანსა შერხეულსა.
ძუძუ-მკერდი გადმოშლილი შუქსა ჰფენდა, ვითა მთვარე,
თხელი ფლოსტით იმკობოდა ფეხი ხმინდა, ნელ მოარე,
ლალის ბაგე ელვად ჰერთოდა, როს დაჰკრავდა ტუჩს ღიმილი,
თვის გარემოს მომხიბვლელად აშუქებდა თეთრი კბილი.
პირის სახეს კონად კრავდა, ლოყა წითლად გადაშლილი,
ყელს მნათობელს ეხვეოდა თმის კულული ჩამოშლილი ...
(„**გრდემლი**“, 296—29 . გვ.).

მაგრამ არა კმარა, მარტოოდენ ერთი მუნჯური სიკეკლუცე, ვინაიდან „მას მკურნალი ვით გაჰკურნავს, თუ არ ეტყვის რაიც სტკივა“. და აი, ერთს მშვენიერს დღეს, როდესაც სამეფო დარბაზში ნადიმს გამართავენ, იგი ყველას წინაშე წარსდგება ვით ვნებათა თაიგული და ნადიმის შემდგომ იცეკვებს. მისი ცეკვა ყველას ატყვევებს, აჯადოებს, გარდა ფრიქსისა, რომლისთვისაც იგი „ასე ხელოვნებდა“. დემეტიკა უკვე დარწმუნებულია თავის ვნებათა ქარი შხლის ტრიუმფში და აი, ფრიქსის საბოლოო მოსაჯადოებლად:

„წყნარის რხევით, სიკეკლუცით ამაყს
გვერდით ჩაუარა,
ნელის ხმითა და ჩურჩულით შეეკითხა:
ჰო, თუ არა?
„გრდემლი“, 298.

რა თქმა უნდა, ფრიქსის მხრით უზრდელი კადნიერება იქნებოდა, რომ დედოფლის ამ გვარ პირისპირ შეკითხვისთვის კვლავ დუმილით გაეცა პასუხი. და აი, ისეც დარბაისლურად მოითხოვს ჩანგს და დაიმღერებს, რითაც დემეტიკას აგრძნობინებს, რომ შენ—ვარდს ის ია მირსევნიაო. დემეტიკა, ამაყი, აქამდე ოლიმპის მშვენების ღმერთსავით გაბრწინებული და მხიარული დემეტიკა, ფრიქსის სიმღერის გაგონების შემდეგ სასოწარკვეთილებას ეძლევა, მაგრამ რომ მის ვნებათა გაოგნებას ფარდა არ აეხადოს, თავს მოიავადმყოფებს და საჩქაროდ საწოლ დარბაზში წაიყვანენ.

ჩამოვარდება მდუმარება. ეხლა მარტოდ მარტო წარსდგება დემეტიკა თავის დამარცხებულ ვნების წინაშე, უნდა, რომ როგორმე თავი ინუკეშოს, მას არა სჯერა, შეუძლებულად მიაჩნია, რომ ვინმემ ამ ღმერთ-ქალის თხოვნა უარჰყოს. ყოველივე შემთხვევაში თავის ურწმუნო გულის დასაჯერებლად ერთხელ კიდევ სცდის, მოუხმობს თავის მხევალს, ფრიქსთან შუამავლად გაჰგზავნის, კარგად დაასაჩუქრებს და თანაც ჩვეულებისაებრ მუქარას ასმენს, რომ სიკვდილით დასჯა არ ასცდება, თუ ეს ამბავი გაამჟღავნეო. მართლაც, შეღამებისას ფრიქსი წარსდგება დედოფლის წინ და მოკრძალებით მოახსენებს:

„ძალა ხარ და დედოფალი, ესე სიტყვა შეიწყნარე,
შენს სარეცელს ნუ მიმიწვევ, სირცხვილისგან დამიფარე.
(გრდემლი, 299 გვ.)

ვინიცის, იქნებ დედოფალში მართლა თავის ქმრისადმი მოვალეობამ გაიღვიძა, ჩვენ ეს არ ვიცით, ვიცით მხოლოდ, რომ გულწრფელად თუ ვერაგი სახით უნდა რომ ფრიქსი დაარწმუნოს:

მეცა ვცდილობ დაგვიწყო, მაგრამ ცეცხლი წამეკიდა
შენზე ვფიქრობ დღე-ნიადაგ, სევდა სულსა წამეკიდა.
(ibid.)

მაგრამ დიდხანს არ გაგრძელდება ასეთი შენანებულის კილო. მალე დემეტიკა ისევ ძველს თავს დავიწყებას ეძლევა და

.... მკერდ გაშლილი ჰაბუკს თრთოლვით დაეკონა,
მოეხვია მგველის მზგავსად, დაუკოცნა ვარდის კონა,
თმა გიშერი შემოაჭდო, ვნებაა სრულად დაუმონა,
არ ნაღვლობდა ქმარს მოესწრო, ანუ რჩევა გაეგონა“.
(გრდემლი, 300 გვ.).

მაგრამ ფრიქსი

„არ იქნა და არ დანებდა, ელეს ფიცს არ უღალატა“.
(ibid).

ეს კი ყოველისფერს აღემატება. დაიმსხვრა დემეტიკას მოთმინების ფიალა და შურის საძიებლად გაემზადება. სწორედ ბედზე შემოდის მეფე და საზიზღარ ცილის წამებას ახვევს ფრიქსს, ვითომც იგი შემოიჭრა და მისი გაუბატიურება მოინდომა და მოითხოვს, რომ მან სამართალი დაადგინოს. განრისხებული მეფე მსაჯულებს მოიწვევს და ერთი ქადაგის რჩევით გადასწყვეტენ და-ძმა ელე და ფრიქსი ღმერთებს შესწირონ მსხვერპლად. გადასწყვიტეს და შეუდგნენ კიდეც სამსხვერპლოს მზადებას. მაგრამ აქ იჩენს სასწაულიც თავის ძალას: კავკასიონის მწვერვალზე მიჯაჭულს ამირანს წინდაწინვე გული უგრძნობს, რომ ფრიქსსა და ელეს ცუდი დღე მოელით. ამ ბავშვების დედას-ნეფელასრომელიც ღრუბლად გადაქცეულ ღმერთმა მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელ ცეცხლის მომტაცებელ დევ-გმირს გამოესარჩლა ამირანი მოუხმობს თავისთან და შვილების უბედურობას აუწყებს. თანაც თავის კეთილის მყოფელ ქალს აჩუქებს ვერძს, რომელსაც პირიდან ამოუშვებს. ეს ვერძი შვილების დახსნაში მოგეხმარებაო, უთხრა ამირანმა. ნეფელა სწრაფად გამოექანება აღნიშნულ სამსხვერპლოსაკენ, ვერძი დასტოვებს სამსხვერპლოდ განმზადებულ და-ძმას, შეისხავს ზურგზე და კოლხეთისკენ გაჰქუსლავენ. საუბედუროდ იმ დროს, როდესაც ისინი პონტოსს უნდა გადაფრინდნენ, პატარა ელე შეკრთება და შიგ ტალღებში ჩაიღუპება, რის გამოც ამ ადგილს ელესპონტი დაერქვა. რა თქმა უნდა, ფრიქსი მწუხარებას მიეცემოდა. დედის რჩევით ფრიქსი თავის კეთილსმყოფელ ვერძს დაჰკლავს და ღმერთებს მსხვერპლად შესწირავს. ბევრი ვერაფერი სამსახური იყო ფრიქსის მხრით რომ თავის მხსნელს ყელში დანა დაატარა, მაგრამ ეს კია, რომ ვერძს ხმა არ ამოუღია და მაღლა დაკიდული მისი ტყავი მალე ისეთს სახელს გაითქვავს, რომ ბოლოს მთელი ერის საუნჯედ აღიარებენ.

(შემდეგი იქნება)

ბრიუსელი. **დ. კასრაძე.**

*) იხ. „თემი“ № 63, 65.

თეატრი და ხელოვნება

არტისტთა საზოგადოების თეატრი. 21 მაისს სომეხი არტისტი **არმენიანი** ჰმართავს მეორე წარმოდგენას. წარმოადგენენ „უვიცობის მსხვერპლს“ ანუ „დაკარგულ მემკვიდრეობას—ან. ვარტიამისას. პიესის შინაარსი მუშათა ცხოვრებიდანაა აღებული.

კვირას 13 მაისს **სახალხო სახლში** გაიმართა **სალიტერატურო-სამუსიკო დილა** სამ განყოფილებად. ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორმა ბ. სარგის კაკაბაძემ წაიკითხა ლექცია: „გიორგი საკაძის პიროვნება ქართულ ისტორიაში“. ლექტორმა აღნიშნა ორი ერთი მეორის უარის მყოფი შეხედულება გიორგი საკაძეზე; ერთნი ახასიათებენ მას, როგორც სამშობლოს მოღალატეს და თავის კერის გამყიდველს, რომელმაც ხელი შეუწყო შაჰ-აბაზის შემოსევას საქართველოში. მან აოხრებინა საქართველო, ზარი დასცა მას და დაღუპვამდე მიიყვანა. ეს ჩაიდინა გიორგი საკაძემ პირადი შეურაცხყოფისა და შურისძიების გამო. მეორენი კი ხატავენ მას, როგორც ეროვნულ გმირს, ისტორიულ დიად პიროვნებას, რომელიც აღჭურვილი იყო დიდებულ ნიჭით და გამსჭვალული სამშობლოსადმი უმზაკვო, უმაღლესი სიყვარულით; მან თავისი თავ-განწირული ბრძოლით სამშობლო ქვეყანა და ერი იხსნა სრულ დაღუპვისაგან და განადგურებისაგან.

ლექტორი უკანასკნელ შეხედულებას მიემხრო. ლექციამ საერთოთ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

მეორე განყოფილებაში 9 წლის მარიამ ირემაშვილმა მშვენიერის დეკლამაციით და მიმიკით წაიკითხა „გლგხის შვილი“ და საზოგადოება აღტაცებაში მოიყვანა. ძლიერის ტაშის ცემით გამოუძახეს და მეორედ წაიკითხა კრილოვის იგავი „მგელი და ცხვარი“ ესეც სამაგალითოდ წაიკითხა. ჩვენმა სასიქადულო მსახიობმა ალექსი-მესხიშვილმა წაიკითხა სცენები თანამედროვე ცხოვრებიდან, რომლებმაც საერთო აღფრთოვანება გამოიწვიეს. მსახიობი აღტაცებულის ტაშის-ცემით რამდენჯერმე გამოიწვიეს. დრამატურგმა ი. გედევანიშვილმა წაიკითხა ფსიხოლოგიური ეტიუდი, რომელშიაც საუცხოოდ დაახასიათა დღევანდელი პირობებით დამონებული ქალის სულისკვეთება, მისი ფსიხოლოგია და სულიერი დრამა. ია ეკალაძემ ზეპირად წაიკითხა მშვენიერი ნაწარმოები ლექსი პროზად „ტყეშიც“; ვ. ირეთელმა იუმორისტული ამბავით გაჰკიცხა სხვა და სხვა უღირსი პირებისაგან უღირსი მიზნით სალიტერატურო დილების ხშირი მართვა. ახალგაზდა პოეტებმა ქუჩაშვილმა და აბაშელმა კარგად წაიკითხეს თავისი ლექსები. ბ. მ. ი. ლანგეფელდმა, ა. კოჩეტოვმა (რუსულად) და ნ. გოცირიძემ (ქართულად) კომიკური სცენებით ხალხი ბევრი აცინეს.

მესამე კონცერტიული განყოფილებიდან აღსანიშნავია ბ. გუტკინი, რომელმაც საუცხოოდ დაუკრა სკრიპკაზედ. მ. კავსაძის გუნდიდან „ტრიომ“, „ტურფავ მოდი“ საზოგადოება ძალიან ასიამოვნა, ქულაჯებში გამოწყობილმა მომღერალთა გუნდმა მ. კავსაძის ლოტბრობით კარგათ შეასრულა რამოდენიმე ხალხური ეროვნული სიმღერა; ბოლოს იმღერეს „ცანგალა და გოგონა“ და გლეხურ ჩოხებით ძმ. კავსაძეებმა სოფლურად ჩამოუარეს. ხალხის აღტაცებას და ტაშის-ცემას საზღვარი არა ჰქონდა.

საზოგადოთ უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი საუცხოოთ შეხამებული და ჩინებულად შესრულებული სალიტერატურო დილა ტფილისს ჯერ არ უნახავს; და თუ ასეთი დილები იქმნება ხშირათ, მგონი ტფილისის საზოგადოებას თავს არ მოაბეზრებს და სულს არ შეუხუთავს; პირიქით ხელს შეუწყობს მის გონებრივ წარმატებას, განუვითარებს ესთეტიურ გემოვნებას და უმაღლესი სიამოვნებით დაატკბობს.

დიდი მადლობის ღირსნი არიან ამ „დილის“ მომწყობნი ნიკ. გოცირიძე და გ. სალარიძე და ყველა მონაწილენი. **ა.**

კვირა საღამოს 13 მაისს **სახალხო სახლში** სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენათა მმართველ წრის მიერ ელ. ჩერქეზიშვილის და ოლ. ლეჟავას მონაწილეობით წარმოადგინეს ხანუმა კომ. 4 მოქ. ასიკო ცაგარლისა. კომედია კარგად ჩაატარეს. როლი ყველამ კარგათ შეასრულა; განსაკუთრებით კარგები იყვნენ ელ. ჩერქეზიშვილი ხანუმას როლში და ნ. გოცირიძე აკოფას როლში.

ხალხი ბევრი დაესწრო და ნასიამოვნებიც დაიშალა. **ი. ი—ი**

ბაქო. 13 მაისს სცენის-მოყვარეთა დასმა წარმოადგინა ბ-ნ ირეთელის მიერ ნინო შვილის ‘ოთხრობიდან გადმოკეთებული დრამა „სოფლის გმირები“. მკითხველებს ალბად უნახავთ ეს დრამა და მოეხსენებათ მისი-ავ-კარგი. იგი სუსტი პიესაა, როგორც საზოგადოდ ყველა პიესა. მოთხრობიდან გადმოკეთებული. ბევრი სცენა მოსაწყენ ლაპარაკის მეტს არაფერს შეიცავს. ლაპარაკობენ საანბანო ჭეშმარიტებაზე, რაც ბავშვსაც-კი მოეხსენება. არ არის დრამაში მთლიანობა. მოქმედებები ხელოვნურად არის შეკოწიწებული და ერთმანეთზე გადაბმული. ერთი სცენა მეორიდან არ ‘ამომდინარეობს. შეგიძლიანთ რომელიმე სცენა გამოაკლოთ და სულ ახალი ჩაურთოთ. მაგრამ პიესას მაინც არა დააკლდება-რა. აშკარად ეტყობა დრამას ნაძალადეობა და სენტიმენტალიზმი. მომქმედი პირები უსიცოცხლონი არიან; ტარიელ მკლავაძისა და იმერელ მედუქნის გარდა ყველანი მანეკენებსა ჰგვანან. ასეთი პიესა თუ დააკმაყოფილებს ვისმეს, ისევ პრიმიტიუ გემოვნების ადამიანს.

ჩვენმა დასმა მეცადინეობა არ დაკლო და ცოტად თუ ბევრად სული ჩაჰბერა დრამას. ზემოდ ვთქვით, რომ პიესაში ორად-ორი მოქმედი პირია, რომელიც სიცოცხლის ნიშან-წყალი ეტყობათო. მოთამაშეთაგან ყველაზე მეტი ყურადღება მიიქციეს სწორედ იმათ, რომელნიც ამ მომქმედ პირებს ადგენდნენ—მ. გელოვანმა (ტარიელ მკლავაძე) და ბოხუამ (იმერელი მედუქნე). ორივეს ბუნებრიობა ახასიათებდა. გელოვანი ისე მოეწონა საზოგადოებას, რომ ამ უკანასკნელმა ხანგრძლივი ტაშით დაჯილდოვა.

სინდისიერად ჩაატარეს თავიანთი როლები ჩაგუნავას ასულმა (ანიკო), გვარაძემ (სპირიდონ) და მატარაძემ (სოფლის მასწავლებელი), თუმცა ეს ეს უკანასკნელი მოუმზადებელი იყო, რადგან ახობაძე, რომელსაც მისი როლი უნდა შეესრულებინა, წინა დღეს მოულოდნელად ავად გახდა. ტარიელ მკლავაძის ამხანაგები ცოტა არ იყოს მოუხეშავი აზნაურები იყვნენ.

რეჟისორმა ყურადღება უნდა მიაქციოს სცენის განათებას. ეს ნაწილი ყველა წარმოდგენაზე კოჭლობს. ამ საღამოს ხომ სიბნელე და სინათლე ყოველ წუთს იცვლებოდა: ხან წყვდიადით მოსავდნენ. ლამფის ანთების შემდეგ ხშირად ხუთი-ექვსი წუთი გაივლის ხოლმე და მერე ანათებენ სცენას. მეორე მოქმედებაში, მოქეიფეთა გასვლის შემდეგ, დიდი პაუზა იყო საკირო, თორემ ღამემ თვალის დახამხამებაზე გაირბინა.

ამ წარმოდგენას ხალხი შედარებით ნაკლებად დაესწრო.

რედაქტორ-გამომცემელი
ნ. კურდღელაშვილი.

გამოსადეგი ცნობა

მატარეგელთა მიმოსვლა
(საზაფხულო).

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

ტფილისიდან გადის.

ბაქოსაკენ: ჩქარი მატარ. № 2, პლაცკარტით დილის 10 ს. 8 წ. **საფოსტო** № 4, დამის 12 ს. 10 წ. **სახალხო** № 6 ნაშუადღ. 2 ს. 44 წ. **ნარევი** მე-V კლ. ვაგ. ან მე- , დილის 4 ს. 37 წ.

ბათუმისაკენ: ჩქარ. მატ. № 11, პლაცკარტით დამის 10 ს. 44 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 41 წ. **სახ.** № 5, საღ. 6 ს. 36 წ. **ნარევ.** მე-IV ან მე-III კლ. ვაგ. დილ. 6 ს. 18 წ.

ბორჯომისაკენ: სახ. № 7/8 დილ. 7 ს. 58 წ. **სახ.** № 9/10 ნაშუადღ. 3 ს. 5 წ.

მცხეთაში: საადგილო № 77 a**, ნაშუადღ. 3 ს. 55 წ. **საადგ. მატ.** № 77**, დილ. 8 ს. 45 წ.

ჯულფისაკენ: საფოსტო № 74/75 დამის 12 ს. 40 წ.

ერევნისაკენ: სამგზ. და **საბარგო მატ.** № 78/79, მე- I და მე- II კლ. ვაგონ., საღ. 7 8 წ. **სახ.** და **საბარგ. მატ.** № 109|104 —II კლ. ვაგ. დილ. 1 ს. 28 წ.

ტფილისში მოდის.

ბაქოდან: ჩქარ. მატ. პლაცკარტ. № 1, საღ. 9 ს. 56 წ. **საფ.** № 3, დილ. 8 ს. 41 წ. **სახ.** № 5, ნაშუადღ. 5 ს. 51 წ. **ნარ.** მე- V ან მე-VII კლ. ვაგ. № 07, დილ. 4 ს. 56 წ.

ბათომიდან: ჩქარ. მატ. პლაცკ. № 12, დილ. 9 ს. 18 წ. **საფ.** № 4, საღ. 11 ს. 15 წ. **სახ.** № 6, ნაშუადღ. 1 ს. 59 წ. **ნარ.** მე-IV ან მე- II კლ. ვაგ. № 06, დამ. 3 ს. 40 წ.

მცხეთიდან: საადგილ. № 76 a*, საღ. 8 ს. 28 წ. **საადგ.** № 76**, ნაშუადღ. 1 ს. 28 წ.

ბორჯომიდან: სახ. № 9|10 საღ. 9 ს. 8 წ. **სახ.** № 7|8, დილ. 7 ს. 8 წ.

ჯულფიდან: საფ. № 72|73, დილის 7 ს. 26 წ. **ერევნიდან საქონ.** და **სახ.** № 80|81, შუადღის 12 ს. 18 წ. **საქონ.** და **სახ.** № 110|111, ღამ. 8 ს. 33 წ.

ქალაქის საავადმყოფოები

მთავარი—მუხრანის ქუჩა, 9.
ავლაბრისა—კახეთის ქ. № 15.
ხარფუხისა—ვორონცოვის ქ. 55.
კუკიისა—ჩერქეზიშვილისა, 1—18.
დიდუბისა—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

სასანიტარო ექიმები

უბნები: 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).
მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).
5—6 **ი. მ. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).
10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).
7—8 **გ. ნ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჭნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საბმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყოვნებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე. რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

უფასო საექიმო დახმარება
ქალაქის საბჭოს ექიმები.

უბნები
1—2 **გ. ა. გედალინი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).
3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).
5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).
6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ., 1, ტელ. 816).
8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკო. ლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).
10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, სოგურესის ქ. 1. ტელ. 71

გემეგის მიმოსვლა
საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

ბათომიდან გადის:

საფოსტო № 2. რომელიც ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 26 აპრილს, ხუთშაბათს ღამე 2 ს. გემი ვ. კ. „კესნია“.

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ ტფილისში ველიამინოვის ქუჩაზე № 18. ტელეფონი № 11. იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

სანავოსნო ამხანაგობა
კავკაზი და „მერკური“

ბაქოდან გადის:

ასტრახნისკენ კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

კრასნოვოდსკში ყოველდღე საღ. 8 საათ.

ასტრაში ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

ლენქორანში ორშაბათობით საღ. 6 საათ.

ენზელში (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერეს ხუთშაბათობებთ საღამოს 8 საათზე.

მტკვრისაკენ კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

ბაქოში მოდის:

ასტრახნიდან ყოველდღე საღ. 8 საათზე.
კრასნოვოდსკიდან ყოველდღე დილის 5. 45 წ.
ასტარიდან ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.
ლენქორანიდან ხუთშაბ. დილის 8 საათ.
ენზელიდან (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.
მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაკატები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზი მერკური**“ ტელ. 682.

განცხადებანი

სამკურნალო
ექიმთა საზოგადოებისა

მუდმივის საწოლებით.

მიხეილის ქუჩა, № 59, მიხეილის საავადმყოფოს პირდაპირ, ტელეფონი № 1026.

იღებენ ავადმყოფთ:

ალაჯანოვი—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—დღის 11—12 ს.

ვ. ვ. ენუკოვი—ქირურგიულ სნეულ. ნაშუადღ. 1—2 საათამდე.

ეგიაზაროვი ი. ნ.—შინაგან, ნევრვებსა სულით-ავადმყოფთ. ელექტროტერაპია დილის 11—12 საათამდე.

კიმონტი გ. პ.—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

მაგაკიანი გ. ნ.—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

ა. დ. კალმიკოვისა-ენუკოვისა—დედათა ავადმყ.—დილ. 11—12 ს. სამკურნალოში ელექტრონითა და მასაჟით სწამლობენ. მიკროოპიულ, ბაქტეროლოგიურ და ქიმიურ გამოკვლევას ახდენენ. ყვავილს ტკრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი 50 კ. ოპერაციებისა და კონსულტაციების ფასი—მორიგებით. სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებიდან.

წამლობა „606“-ით.

(0—1253—58)

სამშოგიარო თავშესაფარი თუხარელისა,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, № 34, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოდ. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამეში, 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და მოახლეებს ყოველ დღე, დილის 11—12 ს.-ზედ, ამოწმებს თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ.**

(თ. 1037.55) **მიკირტუმოვი.**

ექიმ ნავასარდიანის პირველი კერძო სამკურნალო

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.

დ ი ლ ი თ:

„606“—11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
ბ. გ. აგასაროვი: 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
კ. მ. ჩიქოვანი: 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ხელოვნებისა.
ბ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
გ. ი. გურგენოვი: 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
ა. პ. კარაპეტიანცი: 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელიქიანი**—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

მ. გ. ავეტისიანცი: 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები ძვირიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნ ავასარდიანი.**

(წ. 1074.48)

ქალაქის საუქციონო ზალა.

(ველიამინოვის ქ.) ძოძრავ ქონებას მიიღებს **გასასყიდად** და აგრედვე **შესანახად.** ძიღებულ ნივთებში იძლევა ხელის მოსაცველელად 200 %, ხოლო შენახვის ფასად აიღებს 2%-სა. დღისით 9—3 საათამდის. (25.421.4)

შემთხვევით

იჯარით იძლევა 13 ოთახი.

პირობების გასაგებად ძიძართეთ სახლის. პატრონს სადი დღის განმავლობაში თუმანოვის შესახვევი № 20.

(1—456—1)

ფეიქარაოვისა და ელისაბედის ქუჩის კუთხეში, ს. წერეთლის სახლში

ქირავდება

ძალიან მოსახერხებელი ღვინის სარდაფი, მშვენიერ ალაგას. პირობები იკითხეთ მოურავთან, ელისაბედის ქ., № 117. (1 459—1)

გამოვიდა და იყიდება

თ. მთავრიშვილისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში
(ქუთაისში)

შექსპირის შემდეგი წიგნები: „**ოტელო**“, „**ჰამლეტი**“ და „**მეფე ციმბელინი**“, ნაამბორი ყრმათათვის, სამსონ ყიფიანის მიერ.

ფასი ერთი აბაზი. (5.1256.3)

სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობა „**ი დ ე ა ლ ი**“-ს გამგეობა სთხოვს ბ.ბ. პაების პატრონთ და ამხანაგობაში მონაწილეობის მიღები მსურველნი, მობრძანდნენ კანტორაში, ოთხშაბათს, 16-ს მაისის საღამოს 7 საათზე, განსახილველად კითხვისა სასწრაფოთ გასასხნელათ არყის და სპირტის საპარტიო საწყობისა და სხვათა ქარხნებისა.

შუა ბაზარი, ბირჟის პირდაპირ არმიანსკი ტუპიკი სახლი № 4. პაების ჩაწერია, განაგრძობს. (2—440—2)

ყოველ-დღე მოგვდის:

ახალ-ახალი ხიზილალა (ჟიტკა) 2 მ. 40 კ. გირ. ბოჩკის ხიზილალა 1 მ. 20 კ. გირ. წითელი ხიზილალა, ზუთხი, თართი, ლოქო, ფარგა, კობრი, სალიანის თევზეულობა, და ეოველგვარი გამოსული თევზი

(წ.—1131—59)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზის მრეწველნი
ძმ.
ძეგველოვები.

პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 712.

გამოვიდა და იყიდება

ყველა წიგნის მაღაზიაში ქუთ. ქართ. გიმნ. მოწ. გამოცემები:

1 მოთხრობათა კრებული ივ. ყ—ნისა — — — — 2 კაპ.
2 „მირიელ ეპისკოპოზი“ დ. ბ—შვილისა — — — 2 „
3 „სინდიანის ხმა“ ვ. ნ—ძისა — — — — — 2 „
4 „მოგზაური“ ნ. ე—შვილისა — — — — — 2 „
5 „ოქროს ფული“ ლ. ფ—ვასი — — — — — 2 „
6 „ცხოვრების გზა“ ა. ჯ—ძისა — — — — — 2 „
7 „სოფელი კურთხეულა“ ა. დ—ნისა — — — — 3 „
8 „ივანე სარდალი“ ი. ყ—ნისა — — — — — 3 „
9 „პატარა ქალის გმირობა“ დ. ბ—შვილისა — — 3 „
10 „ნელო და პატრაში“ შ. თ—შვილისა — — — 4 „
11 „სამი მოთხრობა“ დ. ნ—ვისა — — — — — 3 „
12 „ძუნწი“ გ. ერისთავისა — — — — — — 5 „

უმთავრესი საწყობი ქუთაისში მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში.

(5—1257—3)

ხელოვნურად შეზავებული
სამკურნალო და ხილეულოგის წყალი
მიტროფანე ლაღიძე და ამხ.

მზადდება საუკეთესო ხილეულის წვენისაგან, წმინდა შაქრით, ქიმიურად გაწმენდილი მასალებისაგან, გამოხდილი და ნადუღი წყლით.

გემო და სუნი საამური აქვს.

ფირმა დაჯილდოვებულია წყლის საუკეთესო ღირსებისათვის დიდ-ოქროსა და ვერცხლის მედლებით და ცნობილია სრულიად უვნებლად ტფილისის გუბერნიის სამკურნალო მართველობისაგან № 5792.

ქარხნები იმყოფება: **ტფილისში გოლოვინის პროსპ. № 5**
(25.1160.18) **ტელეფონი № 411, ქუთაისში - პუშკინის ქუჩა № 6.**

1912 წ. მიიღება ხელის მოწერა
დასურათებულ საყმაწვილო ჟურნალ
„ნაკადულ“-ზე

წელიწადი მერვე.

ჟურნალი გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით და საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით, მონაწილეობას ღებულობენ ჩვენი ცნობილი მწერლები და პედაგოგები.

წლიურ ხელის მომწერლებს მიეცემათ:

24 წიგნი „ნაკადულისა“ მცირე წლოვანთათვის; **12 წიგნი** „ნაკადულისა“ მოზრდილთათვის.

საჩუქრად მიეცემათ წლიურ ხელის მომწერლებს **დასურათებული 120-ზე მეტი ორიგინა-●●—●●ლური იგავ-არაკი ალ. მირიანაშვილისა.**

ფასი ჟურნალისა; წლიურად ორივე გამოცემა ₅ მან., ნახევარ წლით—3 მან, ცალ-ცალკე: მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი—3 მან. მოზრდილთათვის 12 წ. 3 მ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ხელის მოწერა მიიღება **ტფილისში** „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტზე, ზუბალაშვილების სახ. Тифлисъ, Дворянская № 8 და წერაკითხვის საზოგადოების მაღაზიაში. **ქუთაისში:** ისიდორე კვიციარიძესთან, თ. მთავრიშვილთან, მარიამ ყაუხჩიშვილთან და „ნაკადულის“ აგენტებთან; **სამტრედიაში**—ივანე გლადკოვთან, **ფოთში**—თეოფილე კანდელაკთან, **ბათომში**—კნ. სოფიო ნაკაშიძესთან და ტარაფინ ინასარიძესთან, **დ. ხონში**—ეკატერინე ვასილის ასულ ბახტაძესთან, **ოზურგეთში**—ლეო იმნაძესთან, **თელავში**—ვანო პაატაშვილთან, **ახალციხეში**—კონსტანტინე გვარამაძესთან, **ბაქოში**—ვასილ ანდერეევთან და ივანე ელიავშვილთან, **გორში** ნინო ლომაურთან და ქ-ნ ჯავახიშვილთან, **სოხუმში**—კნ. მარიამ ანჩაბაძესთან, **ჭიათურაში**—ივანე გომელაურთან, **განჯაში** ბ. ამბოკაძესთან და **ერევანში** კ. ოდიშარიასთან.

რედაქტორი **ნინო ნაკაშიძე.**

(წ.—1627—67 წ.) გამომცემელი **თავ. პავლე იოსების ძე თუმანიშვილი.**

ს ნ ე ულ ნ ო!
უფრთხილდით სიყალბეს!

რადგანაც „**სპერმინის**“ იაფ-ფასიან მიბაძულებას ავრცელებენ, რომელსაც მასთან საერთო არა აქვს რა და ხშირად ურევია ჯანისათვის მავნებელი ნივთიერება.

ნერვების სისუსტისა, სქესობრივ უილაჯობისა, მოხუცებულების დაჩაჩანაკებისა, სევდის ქარისა, ნერვალგიისა, სისხლ-ნაკლულობისა, ჭლექისა, ათაშანგისა, ვარდის წყლით წამლობის შედეგისა, გულის სნეულებისა (გულის ქონი, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა), **ძარღვების დადუნებისა, ალკოგოლიზმი, ხერხემლის გახმობისა, სიდამბლისა, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტისა, გონებრივ დაქანცულობისა** და **სხვა სნეულების დროს,** მხოლოდ „**სპერმინ-პელა**“ აღწევს იმ ბრწყინვალე შედეგამდე, რასაც ღაღადებენ მთელი ქვეყნის მეცნიერნი და მკურნალნი.

ყურადღება უნდა მიაქციოთ სახელწოდებას:

სპერმინ-პელა

და არ მისდიოთ ძალადობასა ან სხვა და სხვა სახელწოდების სითხეს, რომელთა ულირსობის შესახებ გამოცემულია საგანგებო ბროშურა, რომელიც უფასოდ ეგზავნება ყველას, **სპერმინის** თაობაზე დაბეჭდილ ახალ წერილებთან ერთად.

Метцль. № 68398. (12.1208.5)